



ალექსი ჯონუა

ალექსი ნესტორის ძე ჯონუა დაიბადა 1920 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. სწავლობდა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ა. ჯონუა დიდი სამამულო ომის ვეტერანია. მან მრავალი ლექსი მიუძღვნა სამამულო ომის თემას. მისი პოეზია გამთბარია ხალხის სიყვარულით, ღრმა პატრიოტიზმით და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მდიდარი თემატიკით.

ალექსი ჯონუას ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

მაჯაჯირის გამოთხოვება

ნუ დამძრახავ, უკვე გტოვებ, მშობლიურო მხარევ,
დედის რძეზე უფრო ტკბილად შენ მკვებავდი ბარად.
გემზე ვდგავარ ანძის ახლოს, დარდი ღვივის მწარე
და ტირილით გეუბნები, გეთხოვები მარად,

ჩემს სიყვარულს და განზრახვას, ვით კაეშანს, გტოვებ,
შენს ნაპირზე ზღვა მრისხანებს და მღელვარე ქუში,
მუჭით მიწა წამოვიღე და ნუგეშად ვპოვე
და შენს ტრფობას სიკვდილამდე შევინახავ გულში.

უცხო მხარეს, უცხო კუბოს დააყრიან მიწას,
დავმშვიდდები მხოლოდ მაშინ სამუდამო ძილით.
ოდესმე შენც დაგიხსნიან, გაცოცხლდები წმინდა.
და სხივებო, თქვენც მაცნობეთ, რომ ამდგარხართ დილით.

ჩემს ძვლებს მარად ეხსომება, თუმც ამტვრევდნენ ჩქარა,
თუგინდ ფერფლად გადაიქცნენ ცივ სამარის შიგნით.
და თუ ნახა უცხო მგზავრმა ჩემი თავის ქალა,
იტყვის, ქალა სიდან არის, ან ვისია იგი,
ნუ იღარდებს, ჩემო ტურფავ, შენი გული ჩვილი.

ვერ დავფარავ, ოსმალეთში მე მივცურავ გემით.
ჩვენ ბევრნი ვართ მაჰაჯირნი, გვყავს ცოლ-შვილი წვრილი,
დარდი გვდევნის და ლტოლვილნი დარდიანი ვმღერით.

აფხაზეთო, გვაპატიე, ჩვენ გშორდებით დარდით,
ოდესმე ხომ გაბრწყინდება შენი მზე და ხედი.
შენ იხარებ, კეთილ გულით დამშვიდდები ლაღი.
და ჟამთა სვლას მოუყევი ჩვენი მწარე ბედი.

1939

აფხაზური სიმღერა თბილისზე

რისი სტუმარი, ნუ მეტყვით სტუმარს,
მოვდივარ, როგორც დედასთან შვილი,
მიმოვიხედავ ირგვლივ და... უმაღ
ამიცისკროვნებს სახეს ღიმილი.

მკოცნის, მეხვევა და არ მეშვება
ეს თბილი ქარი, თბილისის ქარი,
ვეგრძნობ, რომ სიამით მეაღერსება
ზვირთდალოცვილი ქალარა მტკვარიც.

მე აფხაზი და სოხუმის მკვიდრი
დღითა და ღამით აქ ვარ ოცნებით,
მე საქართველოს ტრფიალით ვიწვი,
ვხარობ თბილისის ასხივოსნებით.

მაგრამ არ ვწუხვარ და არა ვნანობ,
არცა პოეტის სიმღერა ნაღვლობს,
რომ მეც არ ვცხოვრობ, ძვირფასო ძმანო,
ან რუსთაველზე, ან იქვე ახლოს.

რადგან თბილისის ძმა არის მრწემი
სოხუმი, მუდამ მზით დანამული,
სადაც დაირწა აკვანი ჩემი
და გავიგონე იავნანური.

როცა თბილისელს სოხუმში ვხედავ,
და ხეივნები ხვდებიან ტაშით,
სტუმარიან, როგორ ვთქვა, ნეტავ,
ვამბობ, ძმა შედის საკუთარ ბაღში!

1948

მარშლაჯე

ვით მორევი ბობოქარი
შიაქანებს მხედარ ბავშვებს,
ცხენია თუ ქარიშხალი,
მხედრის გულს რომ ღხენით ავსებს.

„ჰაუ, ცხენო“, გამყივარი
ძახილია თუ სიმღერა,
წაბლისფერმა ცხენმა თავი
წინ წაჰყო და წაიყელა.

შრომით ისმის ჟღერა ნალთა
უნაგირიც მზეში ელავს,
ხედავს ციმციმს ნაპერწკალთა
და გრძნობს ფეხქვეშ ქვათა მსხვრევას.

თითქოს წყალში თევზი იყოს,
არ აკარებს მიწას ნალებს,
წაბლისფერი ცხენი მიჰქრის.
მიცურავს თუ მინარნარებს.

ის აჯობებს დანარჩენებს,
თამამია, ფიცხი, ჩქარი,
ის კოლექტივს გაუზრდია,
ცხენია თუ ქარიშხალი,
და მხედარი თუმც ნორჩია,
თამამია თვით მხედარიც.

1947

ქარხანაში

ტრიალებენ, ფუსფუსებენ —
ჩქარა, ჩქარა!
ჩქარა, ჩქარა!
ცოტა იქით მიიწიეთ,
აბა, შარა, შარა, შარა!
გუგუნებენ უროები,
დაჰკარ, დაჰკარ,
დაჰკარ მარჯვედ,
გამურული მეცეცხლური
ლამით კბილებს გამოაჩენს!
იქით, აქეთ მიმოდინან,
ფუტკრებივით ირხვეიან,
ცეცხლში ფოლადს რომ აღნობენ,
შკლავმაგარი გმირებია.
ტრიალებენ, ბუბუნებენ,
დაჰხარინან ლალად დაზგებს,
აბა, წინ რა დაუდგებთ
ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს.
ფრთხილად, თვალი შეაჩვიე —
კვამლია თუ ნისლი ბოლავს!..
მართლა ხე კი არ გეგონოთ,
აქ ხესავით თლიან ფოლადს.
თვალეbs ველარ დაუჭერებ,
ამღერდება გული ლალად,
როცა ამას დაინახავ!
როცა ამას დაინახავ!
იგუგუნეთ ჭაბუკებო,
გაიხარეთ, გაიხარეთ,
შრომას, გარჯას დაგიფასებთ
მშობლიური თქვენი მხარე.
ცოტა იქით მიიწიე,
აბა, შარა, შარა, შარა!
დაზგა დაზგას გადასძახებს —
ჩქარა, ჩქარა!
ჩქარა, ჩქარა!